სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

აგვისტო 2018

- 2018 წლის აგვისტოში, ივლისის თვესთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი მხოლოდ 0.01%-ით გაიზარდა;
- 2018 წლის აგვისტოში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად გურიაში - 7.6%-ით გაიზარდა, სასტუმროს ფასები ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში შემცირდა - 1.6%-ით;
- 2018 წლის აგვისტოში, ივლისის თვესთან შედარებით, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები საქართველოში 0.9%-ით შემცირდა;
- გურიაში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდამ 18.4% შეადგინა, აღნიშნული ზრდა განპირობებულია ურეკის სასტუმროების ფასების ზრდით;
- 2018 წლის აგვისტოში, ივლისთან შედარებით, თბილისში, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები 0.3%-ით შემცირდა;
- აგვისტოში 3* სასტუმროს საშუალო ფასმა 147 ლარი შეადგინა, 4* - 253 ლარი, 5* - 455 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის - 74 ლარი.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **147 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასები რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში - 177 ლარი და აჭარაში - 164 ლარი დაფიქსირდა. აგვისტოს თვეში, 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი - 89 ლარი და იმერეთი - 103 ლარი.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა აგვისტოში **253 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასები კახეთში - 299 ლარი და სამცხე-ჯავახეთში - 274 ლარი დაფიქსირდა. აგვისტოს თვეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი - 155 ლარი და იმერეთი - 233 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში **455 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 619 ლარი შეადგინა, აჭარაში - 393 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 383 ლარი, ხოლო კახეთში - 357 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა აგვისტოს თვეში **74 ლარი** შეადგინა. აგვისტოში, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში გურიაში - 138 ლარი და ქვემო ქართლში - 107 ლარი დაფიქსირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებს შორის ყველაზე დაბალი საშუალო ფასები დაფიქსირდა კახეთში - 61 ლარი, იმერეთში და შიდა ქართლში - 62 ლარი.

airbnb-ის მიხედვით ბინების საშუალო ფასმა საქართველოში აგვისტოში $45 შეადგინა. ტურისტების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებად ადგილებს შორის[3] (2017 წლის მიხედვით) ფასების განაწილება აგვისტოში შემდეგია: თბილისი - 42$, ბათუმი -46$, ყაზბეგი - 50$, მცხეთა - 37$, გუდაური - 89$, ქუთაისი -31$, სიღნაღი - 27$, ბორჯომი - 32$, ქობულეთი - 46$.

სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 2018 წლის აგვისტოში, ივლისის თვესთან შედარებით, 0.01%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად გურიაში - 7.6%-ით და იმერეთში - 1.4%-ით გაიზარდა. გურიის სასტუმროების ფასების ზრდა, ძირითადად, ურეკის (14%) სასტუმროების ფასების ზრდამ განაპირობა. იმერეთის სასტუმროების ფასების ზრდა ძირითადად განაპირობა ქუთაისის სასტუმროების ფასების ზრდამ (1.5%),

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის აგვისტოში, ივლისის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები ექვს რეგიონში შემცირდა. ყველაზე მეტად ფასები სამცხე-ჯავახეთში და მცხეთა-მთიანეთში შემცირდა, შესაბამისად 1.6% და 1.3%-ით. სამცხე-ჯავახეთში ფასების შემცირება ძირითადად ბაკურიანის სასტუმროების ფასების კლებამ განაპირობა (4.7%-ით). მცხეთა-მთიანეთში ფასების კლება კი ძირითადად განპირობებულია გუდაურის სასტუმროების ფასების კლებით (10%).

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
გურია	7.6%	18.4%	0.9%
იმერეთი	1.4%	-2.7%	4.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.0%	-0.1%	1.3%
აჭარა	0.7%	-0.2%	2.2%
ქვემო ქართლი	0.0%	0.0%	0.0%
თბილისი	-0.3%	-0.3%	0.0%
კახეთი	-0.6%	0.1%	-0.9%
რაჭა	-0.7%		-0.7%
შიდა ქართლი	-0.9%		-0.9%
მცხეთა-მთიანეთი	-1.3%	-4.1%	1.0%
სამცხე-ჯავახეთი	-1.6%	-3.4%	-0.3%
სულ ფასების % ცვლილება	0.01%	-0.9%	0.7%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის აგვისტოში 2018 წლის ივლისის ფასებთან შედარებით

3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის აგვისტოში, ივლისთან შედარებით, 0.9%-ით შემცირდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად მცხეთა-მთიანეთში - 4.1%-ით და სამცხე-ჯავახეთში - 3.4%-ით შემცირდა. მცხეთა-მთიანეთში ფასების შემცირება განაპირობა გუდაურის, ხოლო სამცხე-ჯავახეთში ბორჯომის სასტუმროების ფასების კლებამ. 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდა მხოლოდ გურიაში და კახეთში დაფიქსირდა, შესაბამისად 18.4% და 0.1%. გურიის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდა განპირობებულია ურეკის ფასების ზრდით. კახეთში კი ფასების ზრდა განაპირობა თელავის და ლაგოდეხის სასტუმროების ფასების ზრდამ.

aaazcssw

საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები აგვისტოში, ივლისის თვესთან შედარებით 0.7%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად იმერეთში და აჭარაში გაიზარდა, შესაბამისად, 4.1% და 2.2%-ით. იმერეთის ფასების ზრდა ძირითადად განპირობებულია ქუთაისის, ხოლო აჭარის - ქობულეთის და მახინჯაურის საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდით. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, აგვისტოში, ივლისთან შედარებით, ფასები ყველაზე მეტად კახეთში და შიდა ქართლში შემცირდა, ორივე რეგიონში 0.9%-ით. კახეთის საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების შემცირება განპირობებულია თელავის და სიღნაღის, ხოლო შიდა ქართლის სურამის ფასების კლებით.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	III 2016	IV 2016	2016	I 2017	II 2017	III 2017	IV 2017	2017	I 2018	II 2018
1	559,1	493.4	1978.3	458.7*	549*	647.7*	579.9*	2235.4*	534.8*	
2	2245.1	1473.8	6720	1378.1	1757	2927	1832.1	7902.5	1582.3	1979.6
3	1146.6	559.6	3297.3	665	908.9	1473.6	695.3	4069.4	839.5	1094.2
4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3	550.8*	
5	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9*	
6	12.6	34.7	56.1	7.1	25.1	29.7	14.4	76.2	23.8*	7.6*

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ძერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3. წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

4 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

5 წინასწარი მონაცემები